საქართველოს მთავრობის განკარგულება

№257 2016 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

2016 წლის 20 თებერვლიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის („გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის წესის“) ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების მხარდასაჭერად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტს გამოუყოს 850 815 (რვაას ორმოცდაათი ათას რვაას თხუთმეტი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი